
შპს „მეგა ტვი“

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა

2022 წლის 31 დეკემბერს.


შპს „მეგა ტეკი“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება, ლ
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	31.12.2022	31.12.2021
აქტივები			
ფული და ფულის ექვივალენტი	3	2,073	40,992
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4	570,255	281,466
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	5	1,213,962	285,647
ძირითადი საშუალებები	6	1,186,646	1,610,173
გადახდილი ავანსები	7	78,633	-
სულ აქტივები		3,051,569	2,218,278
ვალდებულება			
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	8	20,514	30,211
სხვა ვალდებულება	9	761,661	600,000
საგადასახადო ვალდებულება		-	-
მიღებული ავანსები		-	-
სულ ვალდებულება		782,175	630,211
კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		-	2,000
გაუნაწილებელი მოგება/(ზარალი)		2,269,394	1,586,067
სულ კაპიტალი		2,269,394	1,588,067
სულ ვალდებულებები და კაპიტალი		3,051,569	2,218,278

დირექტორი

ნოდარი კველიშვილი

10 ოქტომბერი, 2023 წ.




შპს „მეგა ტეკი“
სრული შემოსავლების ანგარიშგება, ლ
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

	შენიშვნა	2022 წელი	2021 წელი
შემოსავალი რეალიზაციიდან	10	3,141,865	2,852,051
რეალიზებული პროდუქციის ღირებულება	11	(2,380,565)	(2,629,754)
საერთო მოგება		761,300	222,297
ხელფასის ხარჯი		(36,000)	(36,000)
ცვეთა და ამორტიზაცია		(-35,873)	(36,960)
სხვა ხარჯები		(8,100)	(8474)
წმინდა მოგება		681,327	140,863

დირექტორი

ნოდარი კველიშვილი

10 ოქტომბერი, 2023 წელი



შპს „მეგა ტეკი“

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება, ლ
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით


ფულადი ნაკადების ანგარიშგება 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

ფულად სახსრების მოძრაობა	31.12.2022	31/12/2021
საოპერაციო საქმიანობა		
მოხმარებლისგან მიღებული ფულად სახსრები	2853075	2816123
მოწოდებებსა და დასაქმებულებზე გაცემული ფულად სახსრები	- 2 512 995	-2830510
ნეტოფულად სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	340080	-14387
საინვესტიციო საქმიანობა		
ფულად სახსრების გასვლ გრძელვადიანი აქტუვების შეძენისა და გაუქმებისთვის	-540660	-600000
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებულ ნეტოფულად სახსრები	-540660	-600000
საფინანსო საქმიანობა		
ფულად სახსრების შემოსვლ სესხებიდან	161661	0
სხვა ფულად სახსრები საფინანსო საქმიანობიდან		0
ნეტოფულად სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	161661	0
ნეტოფულად სახსრების შემოსვლ ან (გასვლ) წლის განმავლობაში	-38919	-614387
ფულად სახსრები წლის დაწყებისათვის	40992	655379
სავალუტო კურსის ეფექტი		0
ფულად სახსრები წლის ბოლოს	2073	40992

დირექტორი

ნოდარი კველიშვილი

10 ოქტომბერი, 2023 წელი



	საწესდებო კაპიტალი	აკუმულირებული მოგება/(ზარალი)	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 2020 წლის 31 დეკემბრისათვის	2,000	1,284,656	1,286,656
წმინდა მოგება/(ზარალი)	-	140,863	140,863
დივიდენდის გადანა	-	-	-
საწესდებო კაპიტალის სხვა ცვლილება	-	160,548	160,548
ნაშთი 2021 წლის 31 დეკემბრისათვის	2,000	1,586,067	1 588 067
წმინდა მოგება/(ზარალი)	-	681,327	681,327
დივიდენდის გადანა	-	-	-
საწესდებო კაპიტალის ცვლილება	(2,000)	-	-
ნაშთი 2022 წლის 31 დეკემბრისათვის	-	2,269,394	2,269,394

დირექტორი

ნოდარი კვლიშვილი

10 ოქტომბერი, 2023 წ.



1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მეგა ტეკი“, საიდენტიფიკაციო ნომერი: 206048454, დარეგისტრირებულია საქართველოში, კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თელავი, აჩინებული.

კომპანია ახდენს პლასტმასის საფუთავების წარმოებას და რეალიზაციას, ასევე საკუთარი ფართების იჯარით გაცემას.

საზოგადოების დამფუძნებლები არიან ნოდარი კველიშვილი, 20001018327 10%, ლუკა კველიშვილი, 20001065379 30%, გიორგი კველიშვილი, 20001065241 30%, როლანდი კველიშვილი, 20001028172 10% ივანე კველიშვილი, 20001005268 20%.

საზოგადოების დირექტორი ნოდარი კველიშვილი, 3/ნ 20001018327 .

საანგარიშო პერიოდში საზოგადოებას შვილობილი კომპანიები, რეგისტრირებული ფილიალები ან/და წარმომადგენლობები არ გააჩნია.

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისთვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31 დეკ 2022	31 დეკ 2021
1 USD/GEL	3.0976	2.7020
1 EUR/GEL	3.5040	2.8844

2. სააღრიცხვო პოლიტიკა

აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია საერთაშორისო საბუღალტრო სტანდარტების საბჭოს (IASB) მიერ გამოქვეყნებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით (მსს ფასს).

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში.

ფუნქციონირებადი საწარმო

წინასწარი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპით. მენეჯმენტის შეფასებით, კომპანია გააგრძელებს ფუნქციონირებად საწარმოდ საქმიანობას.

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი აქტივები.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. შემდგომ ხდება მათი შეფასება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შესყიდვის ფასს.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

აქტივის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება მის აღდგენით ღირებულებამდე მაშინვე, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის სავარაუდო აღდგენით ღირებულებას.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ცვეთა

ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით რაც გულისხმობს აქტივების ღირებულება განაწილდეს მათი გეგმიური საექსპლუატაციო ვადის ზემოთ ნარჩენი ღირებულების გამოკლებით (ასეთის არსებობის შემთხვევაში). შემდეგი საექსპლუატაციო ვადები გამოიყენება ძირითადი საშუალებების ცვეთისთვის:

	სასარგებლო ვადა (წელი)
შენობა-ნაგებობები	20
მანქანა-დანადგარები	5
ოფისის აღჭურვილობა	5
ავეჯი და სხვა ინვენტარი	5
სხვა ძირითადი საშუალებები	5

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მომსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში. არამატერიალური აქტივების სასარგებლო მომსახურების ვადა არის 15 წელი.

არამატერიალური აქტივები

ცალკე შეძენილი არამატერიალური აქტივები აღირიცხება თავდაპირველი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

ამორტიზაცია აღიარდება მოგება - ზარალის ანგარიშებაში წრფივი მეთოდის საფუძველზე არამატერიალური აქტივის მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში, თუკი ასეთი ვადა არ არის განუსაზღვრელი. არამატერიალური აქტივებისთვის, განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით, გამოიყენება გაუფასურების ტესტი ყოველწლიურად. სხვა არამატერიალური აქტივებს ცვეთა ერიცხება ექსპლუატაციაში შესვლის დღიდან გამოყენების ბოლო თარიღამდე. მათი სასარგებლო მომსახურების ვადა არის 15 წელი.

ამორტიზაციის ხანგრძლივობა და მეთოდები გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (ეს არის ბანკში გადასახდელი ფულის დისკონტირებული ღირებულება რომელიც შეიცავს გარიგების ხარჯსაც). სესხების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით. საპროცენტო ხარჯი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და აღიარდება ფინანსურ ხარჯად.

სესხები კლასიფიცირდება მიმდინარე ვალდებულებად, იქამდე სანამ, საწარმოს არ გააჩნია ვალდებულებების დაფარვის გადაცადების უპირობო უფლება საანგარიშო პერიოდის შემდეგ სულ მცირე 12 თვის განმავლობაში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება ტრანზაქციის ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

იჯარა

იმის განსაზღვრა თუ ხელშეკრულება არის (ან მოიცავს) იჯარას დაფუძნებულია შეთანხმების შინაარსზე. ხელშეკრულება არის, ან მოიცავს იჯარას თუ შეთანხმების შესრულება დაფუძნებულია სპეციფიური აქტივის (ან აქტივების) გამოყენების უფლებაზე, იმ შემთხვევაშიც კი როდესაც ეს აქტივები არ არის აშკარად განსაზღვრული ხელშეკრულების საფუძველზე.

კომპანია, როგორც მოიჯარე

საოპერაციო იჯარა განსხვავდება ფინანსურისაგან. საოპერაციო იჯარის გადახდები აღირიცხება შესაბამისი პერიოდის საოპერაციო ხარჯებად მოგება-ზარალის ანგარიშებაში, წრფივი მეთოდით, იჯარის ვადის განმავლობაში.

შემოსავალი

შემოსავალი მოიცავს გაყიდვებსა და მომსახურებებს გარე მომხმარებლისთვის (დღგ-სა და სხვა გადასახადების გამოკლებით). კომპანია აღიარებს შემოსავალს მიწოდებული საქონლის ან/და გაწეული მომსახურების მიხედვით, იმ ანაზღაურების ოდენობით, რომლის მიღებასაც მოელის კომპანია ამ საქონლის მიწოდების ან/და მომსახურების გაწევის სანაცვლოდ.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება. მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადმინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული საგადასახადო შემოსავალი აღარ არის შესაბამისი ფინანსურ ანგარიშგებისთვის განახლებული საგადასახადო კოდექსის გამო.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

მარაგების ღირებულება განისაზღვრება უმცირესით ხარჯსა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება ნორმალური ბიზნესის მიმდინარეობის პირობებში გასაყიდ ფასსა და გაყიდვის მოსალოდნელ ხარჯებს შორის სხვაობით. ყოველ ანგარიშგების დღეს, მარაგები შეფასებულია გაუფასურებისთვის. თუ მარაგები გაუფასურდა, მისი საბალანსო ღირებულება მცირდება მის გასაყიდ ფასს გამოკლებული მისი დასრულებისა და გაყიდვისათვის გამზადების ხარჯი. გაუფასურების ზარალი მაშინათვე აღიარდება მოგება-ზარალზე.

წინასწარ გადახდები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირდება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან აღნიშნული წინასწარგადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად. აქტივების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა აქტივის საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ აქტივზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარგადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება. ნებისმიერი დივიდენდი, გამოცხადებული საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ და ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებამდე, გამჟღავნდება შემდგომი პერიოდის მოვლენების შენიშვნაში.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანებელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შევებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

3. ფული და ფულის ექვივალენტები

	31.12.2022	31.12.2021
ნაღდი ფული	0	0
ფული ბანკში ეროვნულ ვალუტაში	2,073	40,992
ფული ბანკში უცხოურ ვალუტაში	0	0
	2,073	40,992

4. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	31.12.2022	31.12.2021
სავაჭრო მოთხოვნები	570,255	281,466
	570,255	281,466

5. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

	31.12.2022	31.12.2021
მზა პროდუქცია (პლასტმასის საფუთვები)	284,358	285,674
ნედლეული და მასალები	929 604	0
	1,292,595	285,674

6. ძირითადი საშუალებები

	31.12.2022
მიწა	254,424
შენობა-ნაგებობები	143,968
დაუმთავრებელი მშენებლობა	619,736
მანქანები	123,218
სხვა	45,300
	1,186,646

7. გადახდილი ავანსები

	31.12.2022	31.12.2021
რეზიდენტ კომპანიებზე გადახდილი ავანსები	78 633	0
არარეზიდენტ კომპანიებზე გადახდილი ავანსები	0	0
	0	0

8. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	31.12.2022	31.12.2021
კრედიტორული დავალიანება	20,514	27,211
	20,514	27,211

9. სხვა ვალდებულებები

	31.12.2022	31.12.2021
გრძელვადიანი მიღებული სესხი	761 661	600 000
	761 661	600 000

10. შემოსავალი რეალიზაციიდან

	2022	2021
შემოსავალი საქონლის რეალიზაციიდან	3,141,865	2,690,406
შემოსავალი მომსახურებიდან		161, 645
	3,141,865	2,852,051

კომპანიის ძირითადი საქმიანობის საგანს წარმოადგენს პლასმასის საფუთავების წარმოება, აღნიშნული საქმიანობა წარმოადგენს კომპანიის შემოსავლის ძირითად წყაროს.

11. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2022	2021
რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	2380565	2629754
	2380565	2629754

12. ნაშთები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია IAS 24-ით „მნიშვნელოვანი დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს:

- მხარეები, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად, ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები და შვილობილი კომპანიები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;
- პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.
- ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი;
- ოჯახის ახლო წევრები;
- მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვთ, პირდაპირ ან ირიბად ზემოთ ხსენებულ პირებს;
- დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

13. საქმიანობის უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშები მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც ნიშნავს იმას, რომ კომპანია შეძლებს გააგრძელოს ოპერირება ბაზარზე.

14. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად დირექტორის მიერ 2023 წლის 10 ოქტომბერს.

